

შპს გობი

ს/კ 415590934

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

#	შინაარსი	ბვ
1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
2	ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება ზარალის შესახებ	4
3	ანგარიშგება ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ	5
4	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6
5	ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7-14


ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები:				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1	313759	786 483	1 453 716
სავაჭრო მოთხოვნები	2	516231	193 472	183 360
სხვა მოთხოვნები	2	28	79	8
სასაქონლო-მატერიალური მარაგები				
მზა პროდუქცია				
სხვა მარაგები	3	13593	11 901	5 512
სულ მიმდინარე აქტივები		843611	991 935	1 642 596
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2062129	1 862 163	1 595 407
არამატერიალური აქტივები		380	461	542
საგადასახადო აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		2062509	1 862 624	1 595 949
სულ აქტივები		2906120	2 854 569	3 238 546
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	5	77604	74 008	63 237
გადასახდელი პროცენტები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		138264	32 358	30 833
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებულებები		287		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		216155	106 366	94 070
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი				
გადავდებული მოგების გადასახადი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				67 928
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				67 928
სულ ვალდებულებები		216155	106 366	161 998
საკუთარი კაპიტალი			0	0
სააქციო კაპიტალი			0	0
საწესდებო კაპიტალი			0	0
გაუნაწილებელი მოგება		2689965	2 748 203	3 076 548
სულ საკუთარი კაპიტალი		2689965	2 748 203	3 076 548
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2906120	2 854 569	3 238 546

შპს „გოხი“ ს/კ415590934

დირექტორი: პ. აბესაძე



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)


	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები		4 325 760	3 732 448
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	1	4 325 760	3 732 448
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
შემოსავალთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	2	(1 799 712)	(1 663 127)
საერთო მოგება		2 526 048	2 069 321
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	3	(290 142)	(148 255)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(4 190)	(3 629)
საპროცენტო შემოსავალი:			5 018
საპროცენტო ხარჯი :	3		(5 697)
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(69 816)	(48 679)
სულ საოპერაციო ხარჯები		(364 148)	(201 242)
საოპერაციო მოგება		2 161 900	1 868 079
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	5	51 601	14 608
მიღებული დივიდენდები			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი/ზარალი	6	(5 786)	(48 581)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	7	(3 939)	345
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2 203 776	1 834 451
მოგების გადასახადი		(339 302)	(324 419)
მოგება/(ზარალი)		1 864 474	1 510 032
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2 748 203	3 076 548
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1 922 712)	(1 838 377)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 689 965	2 748 203

შპს „გოხი“ ს/კ415590934
 დირექტორი: პ. აბესაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)		
	2019	2018
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში:	787483	1453716
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	4879661	4408900
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		7163
შესყიდულ საქონელზე გადახდილი ფულადი სახსრები	-1030420	-831311
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	-361050	-200115
მომწოდებლებზე დაბრუნებული თანხა		
დღგ და სხვა გადასახადები	-955026	-856853
გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-852988	-994886
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2467660	2986614
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მანქანადანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		
მანქანადანადგარების შეძენა	-358060	-370592
საოფისე ფართის შეძენა		
სესხის დაბრუნება		
პროცენტის დაბრუნება		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	2109600	2616022
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
ნასესხები სახსრების მიღება		147702
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა		-83014
ნასესხები სახსრების გადახდა		-147769
გაცემული დივიდენდი	-1826576	-1746458
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	30735	
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	313759	786483

შპს „გოხი“ ს/კ 415590934

დირექტორი: პ. აბესაძე



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			831526	831526
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				3316601
გაცემული დივიდენდი				1071579
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			3096548	3076548
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1510032
გაცემული დივიდენდი				1838377
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2768203	2748203
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1864474
გაცემული დივიდენდი				1922712
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2689965	2689965

შპს „გობი“ ს/კ 415590934

დირექტორი: პ. აბესაძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „გოხი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2013 წლის 13 ივნისს. ს.ნ 415590934.

კომპანიის დამფუძნებელი პლატონ აბესაძე პ.ნ. 54001003433

კომპანიის დირექტორი პლატონ აბესაძე პ.ნ. 54001003433

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქიათურა ნინოშვილის ქუჩა №6, ბ№16

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არგააჩნია

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- მომსახურება (მანგანუმის მადნის მოპოვება და გადამუშავება)

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მცირე და შასუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საეთაშორისო (ფასს მსს-ს) სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების

მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 გაცემული დივიდენდები კლასიფიცირებულია, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები.

3.1.1 ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2019	2018 წ
ნაღდი ფული სალაროში	33807	16932
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	279952	769551
სულ ფულადი სახსრები:	313759	786483

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს თიბისი და საქართველოს ბანკებში, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2

დასახელება	2019 წ	2018 წ
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	516231	193472
მოთხოვნები პერსონალთან	28	89
მომწ. გადახდილი ავანსები.		
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები.	516259	193561

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან. (მომსახურება-მანგანუმის ნედლეულის მოპოვება, გადაზიდვა, გამდიდრება).

3.1.3 სასაქონლო მატ. მარაგები

შენიშვნა 3

დასახელება	2019 წ	2018 წ
მასალები და ნედლეული	7584	757
მატერიალურად პასუხისმგებელი პირები	4735	3962
საწვავ-საცხები მასალები	1274	7182
სხვა		
სულ მარაგები	13593	11901

მასალებისა და ნედლეულის ნაშთი შედგება საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მასალებისაგან. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე არსებული 4735 ლარი ნაშთი ძირითადად შეადგენს საწვავის ნაშთებს.

3.1.4 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

თვითღირებულება	ნ. 31,12,19	შემოსვლა	გასვლა	ნ.31,12.18
მიწის ნაკვეთები	24616	0	0	24616
შენობა	0	0	0	0
ნაგებობები	0	0	0	0
მსუბუქი ავტომობილები	36677	0	77947	114624
ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები	1826459	193240	0	1633219
ოფისის აღჭურვილობა	2323	1230	0	1093
სატრანსპორტო საშუალებები	334337	130116	0	204221
სპეციალური ინსტრუმენტები	5514	4294	0	1220
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10199	10199	0	0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	63	564	501	0
ლიზინგით აღებული ქონება	0	0	0	0
სულ ჯამი	2240188	339643	78448	1978993

ცვეთა	ნ. 31,12,19	ცვ. დარიცხვა	ცვ. ჩამოწერა	ნ.31,12.18
შენობა	0	0	0	0
ნაგებობები	0	0	0	0
ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები	122548	41143	0	81405
ოფისის აღჭურვილობა	908	245	0	663
სატრანსპორტო საშუალებები	40048	15845	0	24203
მსუბუქი ავტომობილები	12556	2023	0	10533
სპეციალური ინსტრუმენტები	467	441	0	26
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1530	1530	0	0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	2	2	0	0
ლიზინგით აღებული ქონება	0	0	0	0
სულ ჯამი	178059			116830
საბალანსო ღირებულება.	2062129	61229		1862163

კომპანიას გააჩნია:

- მიწის ნაკვეთები არასასოფლოსამეურნეო ქ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილი # სულ 1003 კვ.მ. და ჭიათურა, სოფელი მღვიმევი 2400 კვ.მ სასოფლოსამეურნეო მიწა.

-სატრანსპორტო საშუალებები სატვირთო და სპეც ავტომობილები სულ 9 ერთეული

- ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები 7 ერთეული მუხლუხა ექსკავატორი და 1 რთეული ლაფეტი.

3.1.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა 5

დასახელება	2019 წ	2018 წ
სავაჭრო ვალდებულება	77604	74008
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.	77604	74008

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, (მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის), კომპანიას 77604 ლარის ვალდებულებიდან ძირითად ნაწილს შეადგენს მანგანუმის ნედლიმადნის გამდიდრების მომსახურების ვალდებულება 23000 ლარი, დიზელის ტიპის საწვავის ვალი 26319 ლარი და ტექნიკის რემონტზე გაწეული მომსახურების ვალდებულება 22609 ლარი.

3.2 შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება

3.2.1 ამონაგები

შენიშვნა 1

დასახელება	2019 წ	2018 წ
მომსახურებიდან ამონაგები	4325760	3732448
საქონლის გაყიდვიდან ამონაგები		
ამონაგები სულ	4325760	3732448

მომსახურებიდან ამონაგები ძირითადად ფორმირებულია მანგანუმის მადნის მოპოვებასა და გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

3.2.2 შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

შენიშვნა 2

დასახელება	2019 წ	2018 წ
შრომის ანაზღაურება	174245	103500
ტრანსპორტირების ხარჯები	122884	124782
საწვავის ხარჯი	729370	614547
იჯარის ხარჯი	3559	18792
ქიმიური ანალიზი ხარჯი	600	1474
კარიერის პროექტირების ხარჯები	21540	56133
ტექნიკის მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯი	154984	121123
ცვეთა და ამორტიზაცია	57072	46561
დაცვა გაცილების ხარჯი	5975	11020
მომსახურება მადნის გამდიდრებაზე	529483	565195
სულ პირდაპირი ხარჯები	1799712	1663127

2018 წელს კომპანიის მიერ გაწეული საერთო ხარჯების 89-90% დაკავშირებულია და მიეკუთვნება მის ძირითად საპროფილო პირდაპირ ხარჯებს, ხოლო 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 83-85%-ია.

3.2.3 საოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 3

დასახელება	2019 წ	2018 წ
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	290142	148255
საპეოცენტო ხარჯი		5697
ქონების გადასახადის ხარჯი	19844	15565
ადმინისტრაციული ძრ. საშუალებების ცვეთა	4190	3630
სულ	314176	173147

- კომპანიის ადმინისტრაცია მოიცავთ სამ დასაქმებულ თანამშრომელს.
- სესხის პროცენტის ხარჯი წარმოადგენს ფინანსური იჯარის ვალდებულებაზე დარიცხულ პროცენტს.
- ცვეთის ხარჯი მოიცავს ოფისის აღჭურვილობისა და მსუბუქი ავტომობილების ცვეთის ხარჯს.

3.2.4 ადმინისტრაციული ხარჯები

შენიშვნა 4

დასახელება	2019 წ	2018 წ
ბანკის მომსახურების	7863	7105
საწვავის ხარჯი	4920	4775
დაზღვევის	26505	18876
საკონსულტაციო ხარჯები	1268	2358
საპენსიო შენატანი	9416	
სულ	49972	33114

3.2.5 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

შენიშვნა 5

დასახელება	2019 წ	2018 წ
მოგება სავალუტო ოპერაციიდან	57202	278622
ზარალი სავალუტო ოპერაციიდან	(5 601)	(264 013)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი	51 601	14 609

3.2.6 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი ძრ. საშუალების რეალიზაციიდან

შენიშვნა 6

დასახელება	2019 წ	2018 წ
ძრ. საშუალების რეალიზაციიდან ამონაგენი	75000	291746
ძრ. საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(80 786)	(340 327)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი	(5 786)	(48 581)

3.2.7 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

შენიშვნა 7

დასახელება	2019 წ	2018 წ
შეოსავალი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებიდან		2145
საქველმოქმედო ხარჯები	(3 779)	(1 800)
სამეურნეო პირგასამტეხლოები	(160)	-
სულ არასაოპერაციო ხარჯი	(3 939)	345

4.1. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.

– ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.

-სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

5.1 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ განვითარებული მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.